ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2488752

ნომერი: AR1385221

თარიღი : 10.03.2016

გაცემის თარიღი : 17.03.2016

გაცნობის თარიღი : 06.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 26 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა ფაცაცია პ/ნ 01024002279
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 16 ბ. 11

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1385221 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, ონიაშვილის ქ. #26-ში (ს/კ #01.10.12.041.014) #AR1383606 განცხადებით მოთხოვნილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 04 მარტის #AR1383606 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ოთარ საბაშვილმა და მოითხოვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #2479309 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ონიაშვილის ქ. #26-ში (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, სამსახურის მიერ 2012-2016 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. (მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. #7)